ცერვუჟიდი სანთლები
CERVUGID ovule

ქლორამფენიკოლი / მეტრონიდაზოლი / ნისტატინი /
ჰიდროკორტიზონის აცეტატი

პრეპარატის გამოყენების დაწყებამდე სრულად და ყურადღებით წაიკითხეთ ეს ფურცელ-ჩანართი, რადგან ის შეიცავს თქვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.
- შეინახეთ ეს ფურცელი-ჩანართი. შეიძლება თქვენ დაგჭირდეთ მისი ხელახლა წაკითხვა.
- თუ კი თქვენ გაგაჩნიათ დამატებითი შეკითხვები, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.
- ეს პრეპარატი გამოწერილია თქვენთვის, არ გადასცეთ სხვებს, ამან შეიძლება ისინი დააზიანოს, მიუხედავად იმისა, რომ მათ გააჩნიათ მსგავსი სიმპტომები.
- თუ რომელიმე გვერდითი მოვლენები გართულდება, ან თქვენ შეამჩნევთ რომელიმე გვერდით მოვლენას, რომელიც არ არის აღნიშნული ანოტაციაში, გთხოვთ შეატყობინეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს. იხილეთ პუნქტი 4.

რას ნახავთ ამ ფურცელ-ჩანართში:
1. რას წარმოადგენს ცერვუჟიდი და რისთვის გამოიყენება.
2. რა უნდა იცოდეთ სანამ გამოიყენებთ ცერვუჟიდს.
3. როგორ უნდა გამოიყენოთ ცერვუჟიდი.
4. შესაძლო გვერდითი მოვლენები.
5. როგორ შეინახოთ ცერვუჟიდი.
6. შეფუთვის შიგთავსი და სხვა ინფორმაციები.

1. რას წარმოადგენს ცერვუჟიდი და რისთვის გამოიყენება.
ეს მედიკამენტი გამოიყენება ვაგინალური ინფექციების და საშვილოსნოს ყელის ინფექციების სამკურნალოდ, რომლებიც გამოწვეულია ზოგიერთი მიკროორგანიზმების მიერ.
ჩვენებები:
-აერობული და ანაერობული ბაქტერიების მიერ გამოწვეული ვაგინიტების და ცერვიციტების სამკურნალოდ (მათ შორის *Clostridium* spp.), გრამ-დადებითი ან გრამ-უარყოფითი.
-*Trichomonas vaginalis-ის* და სხვა ტიპის მიკროორგანიზმების მიერ გამოწვეული ვაგინიტების და ცერვიციტების სამკურნალოდ.
-*Mycoplasma spp.-ს* ან *Chlamydia spp.-ს* და სხვა ტიპის მიკროორგანიზმების მიერ გამოწვეული ვაგინიტების და ცერვიციტების სამკურნალოდ.
-*Candida spp.-ს* და სხვა ტიპის მიკროორგანიზმების მიერ გამოწვეული სოკოვანი ვაგინიტების სამკურნალოდ.
-*Trichomonas vaginalis-ის, Candida spp.-ს* და *Mycoplasma spp.-ს* ან *Chlamydia spp.-ს* ბაქტერიების მიერ გამოწვეული შერეული ვაგინიტების სამკურნალოდ.
-პაციენტებში რომლებიც გადიან სისტემულ მკურნალობას იმუნოსუპრესორებით, ციტოსტატიკებით ან კორტიკოსტეროიდებით და პაციენტებში რომლებიც მკურნალობენ რადიოთერაპიით ვაგინიტების და ცერვიციტების პროფილაქტიკისთვის.
-პაციენტებში რომლებსაც უნდა ჩაუტარდეთ ქირურგიული ოპერაციები ან გამოკვლევები გენიტალურ მიდამოში (ჰისტეროსალპინგოგრაფია, ჰიდროტუბაცია, ენდომეტრიუმის ბიოფსია და ა.შ.) ვაგინიტების და ცერვიციტების პროფილაქტიკისთვის.
-პათოგენური ფლორის მკურნალობისას ნაცხის აღების წინ ბაბეშ-პაპანიკოლაუსის ციტოტესტისთვის მიკროსკოპიული სივრცის გასაგებად და ციტოტესტის ინტერპრეტაციის გაუმჯობესებისთვის.

ცერვუჟიდი სანთლები ინიშნება ზრდასრულ ქალებში. თუ საჭიროა შეიძლება დაინიშნოს მოზარდ გოგონებშიც.

2. რა უნდა იცოდეთ სანამ გამოიყენებთ ცერვუჟიდს.
არ გამოიყენოთ ცერვუჟიდი შემდეგ შემთხვევებში:
-თუ ხართ ალერგიული მედიკამენტის აქტიურ ნივთიერებებზე ან სხვა რომელიმე კომპონენტზე (იხილეთ პუნქტი 6).
-თუ გაქვთ ღვიძლის ან თირკმელების მძიმე უკმარისობა.
-თუ გაქვთ ჰემატოლოგიური მძიმე დაავადებები.
თუ ხართ ორსულად ან ლაქტაციის პერიოდში.

გაფრთხილებები
თუ წარსულში გქონდათ ჰემატოლოგიური პრობლემები ან გადიხართ ხანგრძლივ მკურნალობას, რეკომენდებულია პერიოდულად სისხლის ანალიზების ჩატარება, განსაკუთრებით ჰემოლეიკოგრამის კონტროლი.
მიუხედავად იმისა რომ არ შენიშნულა მსგავსი შემთხვევები ამ მედიკამენტის გამოყენებისას, თუ მოხდება წითელი უჯრედების, ლეიკოციტების ან/და თრომბოციტების რაოდენობის შემცირება, აუცილებელია მკურნალობის შეჩერება.
ხანგრძლივი მკურნალობის შემთხვევაში უნდა გაკონტროლდეს ცენტრალური ნეიროპათიის ტიპის გვერდითი მოვლენების გაჩენა ან პერიფერიული-პარესთეზია, ატაქსია (ძვლის ტვინის ან ნათხემის დაზიანების გამო მოტორული კოორდინაციის მოშლა), თავბრუსხვევა, კონვულსიური შეტევები. თუმცა არ დაფიქსირებულა მსგავსი შემთხვევები ამ მედიკამენტით მკურნალობისას, წამლის მიღება უნდა შეწყდეს ატაქსიის, თავბრუსხვევის ან კონფუზიის გაჩენისას.
თუ გაგაჩნიათ ცენტრალური და პერიფერიული ქრონიკული ან განვითარებადი მძიმე ნევროლოგიური აშლილობა, ეს მედიკამენტი უნდა მიიღოთ სიფრთხილით, რადგან არსებობს ნევროლოგიური აშლილობის დამძიმების რისკი.
ამ მედიკამენტით მკურნალობისას ნუ მიიღებთ ეთილის სპირტს, არც სხვა მედიკამენტებს, რომლებიც შეიცავენ ეთილის სპირტს, არც 48 საათის განმავლობაში მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ, რომ არ მოხდეს შესაძლო დისულფირამის (ანტალკოჰოლიზმის) ტიპის რეაქციები, რაც გამოიხატება სიმხურვალის შეგრძნებით, სახის ერითემით, პირღებინება, ტაქიკარდია და ა.შ.
არ არის რეკომენდებული წელიწადში მკურნალობის 2-3 კურსზე მეტის ჩატარება.
ცერვუჟიდის სანთლების გამოყენებამ პრეზერვატივთან ან დიაფრაგმასთან ერთად შეიძლება გამოიწვიოს კონტრაცეპტივის დაზიანება.

ცერვუჟიდი სხვა მედიკამენტებთან ერთად
შეატყობინეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს თუ ღებულობთ, ახლო წარსულში ღებულობდით ან ახლო მომავალში უნდა მიიღოთ ნებისმიერ სხვა მედიკამენტი.

ორსულობა, ლაქტაცია და ფერტილობა
თუ ხართ ორსულად ან ლაქტაციის პერიოდში, ფიქრობთ რომ შეიძლება იყოთ ორსულად ან აპირებთ დაორსულებას, მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს რეკომენდაციისთვის სანამ მიიღებთ ამ მედიკამენტს.
ცერვუჟიდის სანთლები არ უნდა მიიღოთ ორსულობის დროს, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ექიმი ჩათვლის რომ ეს აბსოლუტურად აუცილებელია.
ცერვუჟიდის სანთლები არ უნდა მიიღოთ ლაქტაციის პერიოდში. თუ ექიმი თვლის, რომ მკურნალობა აბსოლუტურად აუცილებელია, ძუძუთი კვება უნდა შეწყდეს.

მანქანებისა და მექანიზმების მართვა
ცერვუჟიდი არ ახდენს არანაირ ზეგავლენას მანქანებისა და მექანიზმების მართვის უნარზე.

3. როგორ უნდა გამოიყენოთ ცერვუჟიდი.
ეს მედიკამენტი ყოველთვის გამოიყენეთ ისე, როგორც გითხრათ თქვენმა ექიმმა ან ფარმაცევტმა. თუ არ ხართ დარწმუნებული, გაესაუბრეთ ექიმს ან ფარმაცევტს. თუ თვლით, რომ ცერვუჟიდით მკურნალობის ეფექტი არის ზედმეტად ძლიერი ან სუსტი, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.
ცერვუჟიდი გამოიყენება ვაგინალურად. სანთელი უნდა შეიყვანოთ ღრმად ვაგინაში და თქვენ უნდა იწვეთ მოდუნებულად.
ჩვეული დოზა არის ერთი სანთელი დღეში საღამოს ძილის წინ. მკურნალობის ხანგრძლივობა არის 12 დღე.
წყლულოვანი ცერვიციტების შემთხვევაში მკურნალობა უნდა განმეორდეს 1-2 ჯერ 7 დღიანი ინტერვალებით კურსებს შორის სანამ არ მიიღწევა წყლულების შეხორცება.
ინფექციებით გამოწვეული ცერვიციტების და ვაგინიტების შემთხვევაში, რომლებსაც თან მოყვება მწვავე ანთება (მენჯის შეშუპება, მეტროანექსიტი, პელვეოპერიტონიტი) შესაძლოა ექიმმა გირჩიოთ ცერვუჟიდთან ერთათ სისტემურად მიიღოთ ანტიბიოტიკები.
ცერვუჟიდი არ გამოიყენება ბავშვებში.
თუ საჭიროა, ამ მედიკამენტის გამოყენება დასაშვებია მოზარდებში, დოზები ინიშნება იგივე, როგორც ზრდასრულ ქალებში.
ცერვუჟიდით მკურნალობის ხანგრძლივობა იქნება დანიშნული თქვენი ექიმის მიერ იმის და მიხედვით როგორი იქნება თქვენი გამოჯანმრთელების პროცესი.

თუ გამოიყენებთ ცერვუჟიდის ჭარბ დოზას
დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ დაგავიწყდათ ცერვუჟიდის გამოყენება
არ გამოიყენოთ ორმაგი დოზა გამოტოვებული დოზის ასანაზღაურებლად.

თუ წყვეტთ ცერვუჟიდის გამოყენებას
გააგრძელეთ ცერვუჟიდის მიღება იმდენ ხანს როგორც გირჩევთ ექიმი მკურნალობის დასრულებამდე. თქვენ გჭირდებათ თითოეული დოზა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და განკურნებისთვის. არ იყო შენიშნული სპეციფიკური რეაქციები მკურნალობის დაუყოვნებელი შეწყვეტის შემთხვევებში. თუ გაგაჩნიათ დამატებითი შეკითხვები ამ მედიკამენტთან დაკავშირებით, მიმართეთ თქვენს ექიმს, ფარმაცევტს ან ექთანს.

4. შესაძლო გვერდითი მოვლენები.
ისევე როგორც ნებისმიერ მედიკამენტს ცერვუჟიდსაც შეუძლია გამოიწვიოს გვერდითი მოვლენები, თუმცა ისინი არ უჩნდება ყველა ადამიანს.
აქტიური ნივთიერებების სისტემური აბსორბციის სიმცირის გამო გვერდითი მოვლენების გაჩენის რისკი არის უმნიშვნელო.
განსაკუთრებით ხანგრძლივი მკურნალობის შემთხვევაში და პირველი დოზის მიღების შემდეგ შეიძლება გაჩნდეს გამონაყარი, ლოკალურად წვის შეგრძნება.

შეტყობინება გვერდითი მოვლენების შესახებ
ნებისმიერი გვერდითი მოვლენის გამოვლინების შემთხვევაში მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს. ეს ასევე ეხება ამ ინსტრუქციაში არმოხსენიებულ ნებისმიერ გვერდით მოვლენასაც. აგრეთვე, შეგიძლიათ შეატყობინოთ გვერდითი მოვლენების შესახებ პირდაპირ ეროვნული შეტყობინების სისტემის მეშვეობით, რომლის დეტალებიც გამოქვეყნებულია მედიკამენტების და სამედიცინო არჭურვილობის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე: http://www.anm.ro/. გვერდითი მოვლენების შესახებ შეტყობინებით შეგიძლიათ წვლილი შეიტანოთ ამ მედიკამენტის უსაფრთხოების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვებაში.

5. როგორ შეინახოთ ცერვუჟიდი.
არ დატოვოთ ეს მედიკამენტი ბავშვების თვალთახედვის არეში ან მათთვის ხელმისაწვდომ ადგილას.
შეინახეთ 25^{0}C ნაკლებ ტემპერატურაზე თავისივე შეფუთვაში.
არ გამოიყენოთ ცერვუჟიდი ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც წერია შეფუთვაზე. ვადის გასვლის დღედ ითვლება მითითებული თვის ბოლო დღე.
არ გააყოლოთ არცერთი მედიკამენტი გამდინარე წყალს ან ნარჩენებს. შეეკითხეთ ფარმაცევტს, თუ როგორ გადააგდოთ მედიკამენტები, რომლებსაც აღარ მოიხმართ. ეს ზომები კარგად წაადგება გარემოს დაცვას.

6. შეფუთვის შიგთავსი და სხვა ინფორმაციები.
-აქტიური ნივთიერებები: ქლორამფენიკოლი / მეტრონიდაზოლი / ნისტატინი / ჰიდროკორტიზონის აცეტატი. თითოეული სანთელი შეიცავს: ქლორამფენიკოლი 200 მგ. / მეტრონიდაზოლი 500 მგ / ნისტატინი 660000 ს.ე. / ჰიდროკორტიზონის აცეტატი 15 მგ.
-სხვა კომპონენტი არის ვიტეპსოლი H 15.

როგორ გამოიყურება ცერვუჟიდი და შეფუთვის შიგთავსი
ყვითელი ფერის, ტორპედოს ფორმის სანთლები. ყუთში შეფუთულია თერმულად დაფარული PVC-PE მასალის 2 ფირფიტა, თითოეულში მოთავსებულია 6 სანთელი.

მწარმოებელი: IRCON SRL
Calea Cisinaului Nr. 6, Nr. cadastral 124540, Iasi/რუმინეთი